ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.31.2020
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/20

შეკითხვა:

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი კლიენტს იურიდიულ მომსახურებას უწევს ადმინისტრაციულ საქმეზე. კლიენტს აგრეთვე სურს ადვოკატისგან მიიღოს ზეპირი კონსულტაცია სისხლის სამართლის საქმეზე. დაარღვევს თუ არა ეთიკურ ვალდებულებებს ადვოკატი იმ შემთხვევაში, თუ ამ მიმართულებით მისცემს რჩევას თავის კლიენტს.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 – „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

ადვოკატი უფლებამოსილია საადვოკატო საქმიანობა მისი კვალიფიკაციის შესაბამისად განახორციელოს. კანონის მხიედვით, დაწესებულია სტანდარტი, რომლის შესაბამისადაც ადვოკატს შეუძლია კლიენტის ინტერესების დაცვა იმ სფეროში, რაშიც ის პეციალიზებულია.

ადვოკატების სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის დარგებში. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11.4)

ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეობის, პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს. საკონსტიტუციო სამართალწარმოებასა და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს.(„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11. 8)

ადვოკატმა ზემოაღნიშნული ვალდებულება უნდა დაიცვას კონსულტაციის მსურველ პირთან შეხვედრისთანავე, მათ შორის განუმარტოს რა მიმართლებით არის ის კვალიფიციური, როგორც ადვოკატმა გაუწიოს მას ზეპირი ფორმით კონსულტაცია, თუ შეასრულოს სხვა იურიდიული მოქმედებები მის საქმესთან დაკავშირებით.

ადვოკატი, რომელიც სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონეა, უკვე წარმოადგენს თავის კლიენტს სამოქალაქო სამართლის საქმეზე, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, კლიენტი ინფორმირებული უნდა იყოს, რომ ის, როგორც ადვოკატის სტატუსისმქონე პირი ვერ მისცემს რჩევას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რადგან ამ მიმართულებით არ არის კვალიფიციური. ასეთ შემთხვევაში, კონსულტაციის მსურველ პირს შეუძლია ადვოკატისგან მიიღოს რჩევა. ამ ვალდებულების შესრულებით თავიდან იქნება არიდებული კლიენტის ინტერესებისათვის ზიანის მიყენების რისკი.

დასკვნა:

კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულება ვერ იქნება შესრულებული, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ განახორციელებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. საადვოკატო საქმიანობას წარმოადგენს აგრეთვე ზეპირი ფორმითაც რჩევის მიცემა. შესაბამისად, კონსულტაციის მსურველი პირი უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ ის რჩევას მიიღებს ადვოკატისგან, რომელიც არ არის სპეციალიზებული ამ მიმართულებით.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.